საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე
ცისმარ ონიანი - კოლეგიის წევრი
მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ე. მ
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.08.2019
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №106/19
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. უ.-ს მიმართ /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. უ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2019 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. უ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, სამოქალაქო საქმეზე დახმარების მიზნით დაუკავშირდა ადვოკატ მ. უ.-ს, რომელიც ადგილზე გაეცნო საქმეს და შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურების განხორციელებაზე. მომსახურების საფასურად განისაზღვრა 200 ლარი, საიდანაც 100 ლარი განკუთვნილი იყო სარჩელის მოსამზადებლად, ხოლო 100 ლარი - სასამართლოს პირველ სხდომაზე წარმომადგენლობის განხორციელებისთვის.

1.3 ადვოკატმა მ. უ.-მ მოამზადა სარჩელი, თუმცა სასამართლომ უარი თქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟი სრულად არ იყო გადახდილი. ე. მ.-მ სახელმწიფო ბაჟის თანხა სრულად გადაიხადა და სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო. სასარჩელო მოთხოვნად განისაზღვრა მოპასუხისათვის ქმედების აკრძალვა. ე. მ.-ს პრეტენზიით ადვოკატის მიერ შედგენილი სარჩელი არ იყო სამართლებრივად გამართული და იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული. სარჩელში არ ჩანდა მოსარჩელის საკუთრება და საკუთრებიდან გამომდინარე უფლებები, ასევე ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის გრაფაში არ იყო მითითებული

სამართლებრივი საფუძვლები. აღნიშნულის გამო, 2019 წლის ივლისის თვეში საჩივრის ავტორმა სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი.

1.4 მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომელიც არ ეხებოდა სასარჩელო მოთხოვნას. შეგებებული სარჩელის თაობაზე ე. მ.-მ შეატყობინა ადვოკატს მ. უ.-ს, თუმცა მან უარი უთხრა შესაგებლის მომზადებაზე, რადგან ის ცდებოდა მათი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებს. საჩივრის ავტორმა თავად შეადგინა შესაგებელი და სთხოვა ადვოკატს, რომ გადაეხედა შეცდომების გამოსარიცხად. ადვოკატმა მ. უ.-მ კვლავ უარი განუცხადა, ვინაიდან ეს საკითხი მას არ ეხებოდა. ე. მ.-მ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომელშიც მითითებული იყო ძალადაკარგული მუხლები, თუმცა შესაგებელი სასამართლომ წარმოებაში მაინც მიიღო.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი გულგრილად და არაკვალიფიციურად ეკიდებოდა მის საქმეს და უხეშად ესაუბრებოდა მას, რის გამოც მას თავად უწევდა საკუთარი ინტერესების დაცვა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოში. ადვოკატ მ. უ.-ს უმოქმედობა გამოვლინდა მაშინ, როდესაც ე. მ.-ს სახლში მოპასუხის განცხადების საფუძველზე მიდიოდნენ ზედამხედველობის სამსახურისა და პოლიციის თანამშრომლები. ადვოკატი მ. უ. არ უწევდა მას სათანადო კონსულტაციას, მათ შორის, არ მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია საერთო საკუთრების გამიჯვნასთან დაკავშირებით და არ აუხსნა, თუ რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა მას.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მ. უ. მუშაობს მოპასუხე მხარის წარმომადგენელთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია „ა. უ. დ. ც.-ში“. ადვოკატმა მ. უ.-მ ე. მ. რამდენჯერმე დაიბარა მოპასუხე მხარის წარმომადგენელთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში, სადაც მათ საუბარს ეს უკანასკნელიც ესწრებოდა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მ. უ.-მ სატელეფონო საუბარში ურჩია დაეყენებინა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა, ვინაიდან მოსამართლემ სასამართლო სხდომაზე წინასწარ დააფიქსირა თავისი დამოკიდებულება, მაშინ როდესაც ე. მ.-ს ურჩია საჯარო რეესტრში წასვლა და მოპასუხის სასარგებლოდ საზიარო უფლების დათმობა. ე. მ.-მ სასამართლოში წარადგინა მოსამართლის აცილების განცხადება, თუმცა 2019 წლის 05 ივნისის სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა მ. უ.-მ განმარტა, რომ არ იზიარებს თავისი კლიენტის პოზიციას მოსამართლის აცილებასთან დაკავშირებით და ეს არის მხოლოდ მხარის სურვილი, რომლის გათვალისწინებაც მისი ვალდებულებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორმა დაკარგა ნდობა საკუთარი ადვოკატისადმი და სატელეფონო შეტყობინებით აცნობა მისი აცილების თაობაზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატის განცხადებით, საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზია უსაფუძვლოა, ვინაიდან ის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად ახორციელებდა ე. მ ს ინტერესების დაცვას. ადვოკატ მ. უ.-სა და ე. მ.-ს შორის არსებული შეთანხმების მიხედვით, ადვოკატს უნდა შეედგინა სარჩელი და წარმომადგენლობა განეხორციელებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს პირველ სხდომაზე. საადვოკატო მომსახურებისთვის მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა 200 ლარი, საიდანაც 100 ლარი მოხმარდა სარჩელის მომზადებას, ხოლო 100 ლარი გათვალისწინებული იყო სასამართლოს პირველ სხდომაზე გამოსასვლელად. მხარეებს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა წერილობით, ხოლო სასამართლო სხდომებზე ადვოკატი გამოდიოდა

ორდერით. ადვოკატის განმარტებით, მან მიღებული ჰონორარის შესაბამისი სამუშაო გასწია - შეადგინა სარჩელი და წარმომადგენლობა გასწია სასამართლოს ხუთ სხდომაზე, რის გამოც მას არ აქვს თანხის დაბრუნების ვალდებულება.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ე. მ.-ს დავა ჰქონდა მეზობელთან მ. მ-სთან, რომელთანაც ჰყოფდა სახლის კედელი. ამასთან, საჩივრის ავტორს მეორე კედელი ჰყოფდა ნ. მ.-სთან, რომელთანაც ადვოკატ მ. უ.-ს აკავშირებს ნაცნობობა. ადვოკატმა შეთანხმების დადებამდე აცნობა ე. მ.-ს, რომ იმ შემთხვევაში თუ დავა წარმოეშობოდა ნ. მ.-ს მიმართ, ასეთ შემთხვევაში წარმომადგენლობას ვერ განახორციელებდა. ე. მ.-მ სარჩელი შეიტანა მოპასუხის მ. მ -ის წინააღმდეგ, ხოლო მ. მ -მ შეგებებული სარჩელი წარადგინა ე. მ.-ს და ნ. მ.-ს წინააღმდეგ. ადვოკატმა კვლავ განუმარტა საჩივრის ავტორს, რომ შეგებებულ სარჩელზე შესაგებელს ვერ მოამზადებდა, ვინაიდან ის ეხებოდა ნ. მ.-ს, რაზედაც საჩივრის ავტორი დათანხმდა და თავად გადაწყვიტა შესაგებლის მომზადება და სასამართლოში შეტანა.

2.3 ადვოკატი მ. უ. საჩივრის ავტორის ინფორმირებას მუდმივად ახორციელებდა. მან მომსახურების დაწყებისთანავე აცნობა კლიენტს, რომ საქმეზე შესაძლებელია საჭირო გამხდარიყო ექსპერტიზის ჩატარება.

2.4 ადვოკატ მ. უ.-ს განმარტებით, სასამართლოში სხდომის ჩანიშვნა მალევე არ მომხდარა, რაზედაც ე. მ. პრეტენზიას გამოთქვამდა და სურდა მოსამართლის მიმართ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჩივრის შეტანა, საჩივრის ავტორმა ასევე მიმართა სახალხო დამცველს. ადვოკატი მ. უ. ე. მ.-ს უხსნიდა, რომ მოსამართლის წინააღმდეგ საჩივრის წარდგენით შესაძლებელია მოსამართლე გაენაწყენებინათ, რის გამოც კლიენტს ურჩევდა საჩივრისა და განცხადებებისგან თავი შეეკავებინა. მოსამართლემ მორიგების მიზნით ორჯერ გადადო სხდომა, ასევე დაავალა მხარეთა წარმომადგენლებს ადგილზე მისვლა და ვითარების შესწავლა, რაშიც ადვოკატმა მიიღო მონაწილეობა.

2.5 საჩივრის ავტორმა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა დააყენა სასამართლოს სხდომაზე, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ მოსამართლემ აზრი გამოთქვა სადავო საკითხზე. ადვოკატმა სასამართლოს სხდომაზე განმარტა, რომ მოსამართლის აცილების შუამდგომლობის დაკმაყოფილებისთვის არ იყო საკმარისი საფუძველი, თუმცა კლიენტს ეთანხმებოდა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მას საადვოკატო ოფისი აქვს გურჯაანის რაიონულ სასამართლოს გვერდით, სადაც პირველად შეხვდა ე. მ.-ს. 2018 წლის აპრილიდან მ. უ. ასევე მუშაობს იურისტად არასამთავრობო ორგანიზაცია „ა. უ. დ. ც.-ში“ პროექტზე, რომელიც ეხება წყალს და სანიტარიას სკოლებში. მისი სამუშაო საათები მოიცავს კვირაში ორ დღეს. პირველად ე. მ.-ს მისვლა „ა. უ. დ. ც.“-ში მოხდა მორიგების ფარგლებში, ვინაიდან მოპასუხის ადვოკატიც ამავე ოფისში იმყოფებოდა. მეორედ კი ე. მ. ადვოკატ მ. უ.-სთან მივიდა დოკუმენტის გადასაცემად, თუმცა მათ შორის საუბარი არ შემდგარა. სხვა დროს საჩივრის ავტორი თავისი ინიციატივით იყო მისული მოწინააღმდეგ მხარის ადვოკატ ლ.ხ-თან სადავო საკითხზე სასაუბროდ.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. უ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ საერთო სამართლის სპეციალიზაციით, დამატებითი სპეციალიზაცია - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. ე. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 15 აგვისტოს.

3.2 სადავო ქმედება განხორციელდა 2018-2019 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. უ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მ. უ.-მ არ გაუწია მას კვალიფიციური მომსახურება, კერძოდ, ადვოკატის მიერ შედგენილი სარჩელი არ იყო სამართლებრივად გამართული და იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული. ადვოკატი არ დაეხმარა მას შესაგებლის შედგენაში და მან მხარი არ დაუჭირა მოსამართლის აცილების შუამდგომლობას.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ მ. უ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ვალდებულებები.“
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.3 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა, რაც გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას კლიენტის სახელით და კლიენტის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რასაც მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს და რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. კლიენტის ინტერესების დაცვის დროს ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა და უზრუნველყოს კლიენტის სათანადო წესით დაცვა.

5.4 „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა საქართველოს კანონით ადვოკატთა შესახებ (მუხლი – 2,5,6.) არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის“ (23.09.2010 წლის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე N066/10)

5.5 მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ მხარეებს შორის ზეპირი შეთანხმების საფუძველზე საადვოკატო მომსახურებად განისაზღვრა სარჩელის შედგენა და პირველი ინსტანციის სასამართლოს პირველ სხდომაზე წარმომადგენლობა. მხარეებს შორის ასევე წერილობითი ფორმით გაფორმდა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე, რომლის მიხედვით ადვოკატი მ. უ. ვალდებული იყო კლიენტისთვის გაეწია კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია, მოემზადებინა საქმე სასამართლო წარმოებისათვის, დაეცვა მისი ინტერესები საქართველოს საერთო სასამართლოებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში და სააღსრულებო წარმოებისას მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობაში. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა საქმის დასრულებამდე, თუმცა ხელშეკრულების მოშლა ვადამდე შესაძლებელი იყო ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში.

5.6 საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებით ასევე დგინდება, რომ მ. უ.-მ შეადგინა სარჩელი და წარმომადგენლობა განახორციელა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ჩატარებულ სხდომებში. მხარეებს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყდა ე. მ.-ს ინიციატივით.

5.7 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ წარმოებაში მიიღო მ. უ.-ს მიერ შედგენილი სარჩელი და დაიწყო საქმის განხილვა. ეთიკის კომისია განმარტავს რომ ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და საპროცესო მოქმედებების ხარისხს შეაფასებს. ადვოკატი, კლიენტთან შეთანხმებით, თავად განსაზღვრავს დაცვის სტრატეგიას, სასამართლოს წინაშე წარსადგენი საპროცესო დოკუმენტების შინაარსს, მათი გამოყენების მიზანს და საფუძვლიანობას. შესაბამისად, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს ადვოკატის მიერ წარდგენილი საჩივრის შინაარს და მის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტთან.

5.8 საპროცესო კოლეგია ასევე განმარტავს, რომ მართალია, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა“ და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ეთიკურ სტანდარტებს, თუმცა ეს არ ართმევს მხარეებს უფლებას, ხელშეკრულებით თავისუფლად განსაზღვრონ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლები. მხარეთა შეთანხმებით, მ. უ.-ს უნდა შეედგინა სარჩელი და წარმოედგინა მხარე სასამართლოში. ამდენად, მოპასუხის მიერ აღძრულ შეგებებულ სარჩელზე შესაგებლის მომზადება არ შედიოდა მის ვალდებულებაში, ამასთან, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მეორე მოპასუხესთან და მის წინააღმდეგ არ სურდა პროცესზე გამოსვლა, რის შესახებაც წინასწარ აცნობა საჩივრის ავტორს.

5.9 საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომლის მიხედვით სასამართლო პროცესზე ადვოკატმა მხარი არ დაუჭირა მოსამართლის აცილების საკითხს, კოლეგია განიხილავს გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 06 ივნისს გამართულ სხდომის ოქმზე დაყრდნობით. სხდომაზე აცილების საკითხის განხილვის დროს, ადვოკატმა მ. უ.-მ შემდეგი განმარტება გააკეთა - „აცილების განცხადება მე არ დამიწერია, თავად ე.-ს გაუჩნდა ამის სურვილი, მე თქვენს წინაშე დავაფიქსირებ მოსაზრებას, რომ ეგ ტერმინი რაზეც ეთერი არის ნაწყენი, მე აღვიქვამ რომ ეს თქვენ თქვით მორიგების თემასთან მიმართებაში, რომ მორიგებისთვის იყო წინ წაგდებული ნაბიჯი და სულაც არ გამიგია ეს ცუდად. ამის გამო მე თქვენს მიმართ არ დავაყენებდი აცილებას, მაგრამ კლიენტის პოზიციით ვარ შებოჭილი და სხვა გზა არ მაქვს, რომ სხვა აზრი დავაფიქსირო, მაშინ დაცვის გარეშე დავტოვებ“. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის გაკეთებული

განცხადებები არ ეწინააღმდეგება კლიენტის ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა დააფიქსირა პირადი აზრი, ამასთანავე მან მხარი დაუჭირა აცილების განცხადებას. ის სასამართლო პროცესზე არ გამოსულა თავისი კლიენტის წინააღმდეგ, შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. უ.-ს მხრიდან ადგილი არ აქვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევას.

5.10 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ ასევე გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მ. უ.-მ ე. მ. დაიბარა მოპასუხე მხარის წარმომადგენლის ოფისში რამოდენიმეჯერ, სადაც მათ საუბარს ეს უკანასკნელიც ესწრებოდა.

5.11 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ მ. უ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(დ) მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება.“
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1 მუხლი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.“

5.12 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა. კონფიდენციალობის ვალდებულება ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვას გულისხმობს. ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღება ხდება კლიენთან ურთიერთობისას, რა დროსაც კლიენტი ადვოკატს გაანდობს მისი საქმის შინაარს. ადვოკატის მიერ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება იწვევს კლიენტის ნდობის დაკარგვას. ამასთან, აღნიშნული ვალდებულების დარღვევამ, ადვოკატის მიმართ შესაძლოა „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული პასუხისმგებლობა გამოიწვიოს.

5.13 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ის და მოწინააღმდეგ მხარის ადვოკატი ლ. ხ. ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობდნენ, თუმცა განსხვავებული მიმართულებით. ორგანიზაციაში, ადვოკატის საათები მოიცავს კვირაში ორ სამუშაო დღეს. ე. მ.-ს მისვლა ოფისში მოხდა მორიგების მიზნებისთვის და ასევე მ. უ.-სთვის დოკუმენტის გადასაცემად, თუმცა მათი შეხვედრის დროს ლ. ხ.-ს თანდასწრებით საქმეზე საუბარი არ შემდგარა. განსხვავებული განმარტება გააკეთა საჩივრის ავტორმა, მისი თქმით ადვოკატ მ. უ.-თან საუბარს ესწრებოდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მხარეთა ურთიერთსაპირისპირო განმარტებების გარდა საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის თანდასწრებით ადვოკატ მ. უ.-სა და ე. მ.-ს საუბრის ფაქტს. შესაბამისად, არ დასტურდება ადვოკატ მ. უ.-ს მიერ კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევა.

5.14 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. შესაბამისად, ადვოკატ მ. უ.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №106/19 ადვოკატ მ. უ.-ს მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარ ონიანი/